ხელშეკრულება №24

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ჩოხატაური

4 თებერვალი 2019 წელი

ერთი მხრივ, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი მერის **ირაკლი კუჭავას** სახით და მეორე **მხრივ, ი.მ. ,,ნელი ხაბეიშვილი, საინ.კოდ 46001012289** (შემდგომში „მიმწოდებელი")სახელმწიფო შესყიდვების კანონის, სახ. შესყიდვების სააგენტოს თავმდომარის ბრძანება N13-ის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

დაფინასნების წყარო: ადგილობრივი ბიუჯეტი

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურება მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. „საქონელი" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

შესყიდვის ობიექტი: --- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს სამსახურებისათვის ელექტრო სამეურნეო საქონელის შეძენა დანართის შესაბამისად.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **1000,70 (ერთიათასი ლარი და 70 თეთრი) ლარი.**
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.
4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საფინანსო დოკუმენტების (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ან/და ინვოისი ან/და ზედნადები) საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით შესაბამისი სამსახური.

6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1 **საქონლის** მიწოდება განხორციელდებ: ჩოხატაური, წერეთლის ქ. N2.
6.2. **საქონლის** მიწოდება განხორციელდება **2019 წლის 4 თებერვლიდან 2019 წლის 4 აპრილის ჩათვლით.**

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია საქონლის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
8.2. ხელშეკრულების 8.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით შესაბამისი სამსახური.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.
9.2. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლემოსილია ხელშეკრულების ვადის გასვლის პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
9.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების გამო შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 5%-ის ოდენობით.
9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ

10.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების შესრულებისა და მოქმედების ვადები

12.1 ხელშეკრულების შესრულების ვადაა 2019 წლის 4 თებერვლიდან 2019 წლის 4 აპრილის ჩათვლით.

12.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2019 წლის 4 თებერვლიდან 2019 წლის 4 მაისის ჩათვლით.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი" ---------- ი. კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი
ს/კ 242008705
მის: ჩოხატაური, წერეთლის ქ. N2

Chokhatauri municipality
Digitally signed by Chokhatauri municipality
Date: 2019.02.05 11:40:55 +04'00'

„მიმწოდებელი" ---------- ნ. ხაბეიშვილი

ი.მ. „ნელი ხაბეიშვილი"
საინდ/კოდ 46001012289
ს.ს. ლიბერთი ბანკის
საინდ. კოდი LBRTGE22
ანგ. № GE43LB0112131596824000
ტელ: 555 31 43 54

Neli Khabeishvili
Digitally signed by Neli Khabeishvili
Date: 2019.02.05 11:42:15 +04'00'

დანართი

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N24 (4 თებერვალი 2019 წელი)

(ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს სამსახურებისათვის შესასყიდი ელექტრო-სამეურნეო საქონლის ჩამონავალი)

N	საქონლის დასახელება	განზ	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება	CPV
	წყლის ტუმბო	ცალი	1	90	90	42122130
	მუფთა გადასაბმელი (ამერიკანკა) დ=32 გარეთა რეზბით	ცალი	2	5	10	44163230
	მუფთა გადასაბმელი (ამერიკანკა) დ=32 შიგა რეზბით	ცალი	2	5	10	44163230
	წყლის ნიჟარა დიდი	კომპ	1	70	70	44411300
	უნიტაზის კრანი	ცალი	1	7	7	44411100
	მილი პლასმასის დ=32	ცალი	1	12	12	44163100
	უნიტაზის ჩამრეცხი მექანიზმი	ცალი	4	15	60	44411750
	უნიტაზის თავსახური	ცალი	4	14	56	44411720
	შემაერთებელი მილები (დრეკადი) 0.5 მ სიგრძე	ცალი	6	5	30	44163100
	წყლის ნიჟარა პატარა	კომპ	1	60	60	44411300
	ნათურები	ცალი	20	12	240	31519100
	სილიკონი	ცალი	2	6	12	24951120
	მექანიკური გადამრთველი 40/32	ცალი	1	5	5	44163230
	სასაპნე (თხევადი საპნის)	ცალი	1	15	15	39831700
	საილოზაციო ლენტი	ცალი	1	1.5	1.5	31651000
	მუხლი პლასმასის	ცალი	4	0.65	2.6	44163230
	პლასმასის კრანი ფ-32	ცალი	2	6	12	44411100
	პლასმასის მუფთა	ცალი	4	0.65	2.6	44163230
	პაკლი (ლენტა წებოვანი)	ცალი	2	2.5	5	44424200
	შემაერთებელი ,,ვილკა"	ცალი	1	1	1	31214100
	მილი დრეკადი 20/45 სმ	ცალი	4	5	20	44163100
	შურუპები	ცალი	10	0.15	1.5	44523200
	ბრა	ცალი	1	15	15	31524000
	ხელთათმანი	ცალი	2	1.5	3	18424000
	პაკლი (ლენტა წებოვანი)	ცალი	1	3	3	44424200
	პლოცკო (ბრტყელტუჩა)	ცალი	1	5	5	44512200
	ქანჩი	ცალი	1	10	10	44531600
	სვერლო	ცალი	2	2.5	5	43132300
	სახრახნისი (ატვიორკა)	კომპ	1	12	12	44512800
	სახრახნისის პირი	ცალი	1	2	2	44512920
	სახრახნისის პირი	ცალი	1	1	1	44512920

	შურუპები	ცალი	2	0.25	0.5	44523200
	ელემენტები	ცალი	4	0.5	2	31440000
	ელ. სადენი	გრძ.მ.	64	1.5	96	44300000
	საშტეფსელო როზეტი	ცალი	10	4	40	31224100
	ელ. გამომრთველი	ცალი	5	1.8	9	31214100
	გამანაწილებელი ყუთი	ცალი	6	1	6	31213000
	სკოპი	კოლოფი	3	4	12	44523200
	საიზოლაციო ლენტი	ცალი	5	1	5	31651000
	საიზოლაციო ლენტი	ცალი	1	5	5	31651000
	ნათურა ეკო	ცალი	8	5	40	31531000
	გილძა (პატრტონა)	ცალი	4	1.5	6	31710000
					1000.7	

„შემსყიდველი“ ---------- ი. კუჭავა

„მიმწოდებელი“ ---------- ნ. ხაბეიშვილი

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობისშესახებ

ჩოხატაური

4 თებერვალი 2019 წელი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი - ირაკლი კუჭავა ვადასტურებ, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტსა და ი.მ. ,,ნელი ხაბეიშვილი"-ს (ს.კ.**46001012289**) შორის 2019 წლის 4 თებერვალს გაფორმებული N24 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გამარტივებულ შესყიდვაში (დაფინანსების წყარო - ადგილობრივი ბიუჯეტი) ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება საქართველოს 2005 წლის 20 აპრილის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის მოთხოვნას და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები.

მუნიციპალიტეტის მერი: ირაკლი კუჭავა